# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 18-70

„17" ივლისი 2015  წ

ქ. თბილისი

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016099) და დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა, ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე  გიორგი ალიბეგაშვილი


ფუნქციური ზონები
1:30,000

## განმარტებითი ბარათი

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით**

1. გადაწყვეტილების მიღების მიზეზია ის ფაქტი, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისდამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის№20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის ტექნიკური) ცვლილებების შეტანის საკითხი. ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხები (31 წინადადება) განხილულია და რეკომენდირებულია "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს" მიერ.

2. გადაწყვეტილების მიღების მიზანია დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება და მისი შემდგომი სრულყოფა.

3. გადაწყვეტილების ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში:

წარმოდგენილი პროექტის მიღების შემთხვევაში მოხდება დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე – რუკაზე არსებული ფუნქციური ზონების ცვლილება 31 ერთეულ შემთხვევაში ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების მიხედვით:

1. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასალის შესახვევში, #3–ე კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.18.09.002.032),(2377კვ. მ) დაზუსტდეს კონტური ზოგად საცხოვრებელ ზონასა და სარეკრეაციო ზონა 1-ს შორის.

ზოგადი საცხოვრებელი ზონა იცვლება სარეკრეაციო ზონა 1-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №23), მოქ. მ. ლომთაძე. №07/6855–13.

**2. ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, თევდორე მღვდლის ქ. #48–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.13.06.009.001),(6343 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სამრეწველო ზონა 1-სა და საცხოვრებელი ზონა 6-ს შორის.**

სამრეწველო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №24), მოქ. თ. მაჭარაშვილი. AR1304874.

**3. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის მასივის ტერიტორიაზე არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: #72.13.05.182-ის მიმდებარედ), ლეგალიზების მიზნით,(11140, 682 და 1156კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-ს, საცხოვრებელი ზონა 1-სა და სარეკრეაციო ზონა 3-ს შორის.**

საცხოვრებელი ზონა 1 (11140 კვ.მ.) და სარეკრეაციო ზონა 3 (1156 კვ. მ) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით, სატრანსპორტო ზონა 1 (682 კვ.მ.) იცვლება საცხოვრებელი ზონა 1–ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №24), მოქ. ნ. ხუციშვილი. AR1305074.

**4. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, (ნაკვეთი #14/463), არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.19.36.014.463), (17350 და 26969კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სპეციალური ზონა 2-ს, სარეკრეაციო ზონა 2-სა და სარეკრეაციო ზონა 3-ს შორის.**

სარეკრეაციო ზონა 2 (17350 კვ.მ.) და სარეკრეაციო ზონა 3 (26969 კვ. მ) იცვლება სპეციალური ზონა 2-ით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №24), მოქ. მ. ძაგანია. AR1306342.

**5. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, საბარგო დასახლებაში, 17 იანვრის ქ. #7–ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: #01.17.09.049.005–ის მიმდებარედ),(15კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და ზოგად საცხოვრებელ ზონას შორის.**

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №19), მოქ. გ. კობიაშვილი. AR1299832.

**6. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის დასახლებაში, I და VI მიკრორაიონებს შორის/ გლდანის დასახლებაში, IV და V მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.11.10.012.027), ავტოტექმომსახურებისა და ავტოგასამართი შენობების განთავსების მიზნით, (16898 და 2670კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-ს, სარეკრეაციო ზონა 2–სა და საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 3-ს შორის.**

სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (2670 კვ. მ) და საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 3-ით(16898 კვ.მ.). ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №25), მოქ. ლ. კალმახელიძე. AR1312515.

**7. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, საირმის ქ. #5–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.10.14.020.028),(35კვ. მ) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელი ზონა 6–სა და სატრანსპორტო ზონა 1-ს შორის.**

საცხოვრებელი ზონა 6 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №25), მოქ. ტ. სინჯარაძე. AR1289583.

**8. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ზემო ვეძისში, II ჩიხი/ზემო ვეძისის #22–ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.12.001.068), კომერციული ფუნქციის მქონე შენობების (სასტუმრო, მაღაზია,ოფისი) განთავსების მიზნით,(675კვ. მ) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელი ზონა 2–სა და ზოგად საცხოვრებელ ზონას შორის.**

საცხოვრებელი ზონა 2 იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №25), მოქ. ნ. მაჭუტაძე. AR1310176.

**9. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ავლაბრის მეტროსა და სომხურ თეატრთან არსებული სკვერის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: #01.17.01.094.003-ის მიმდებარედ), მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის**

მიზნით,(262 და 107კვ. მ) **დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1–ს, სარეკრეაციო ზონა 2-სა და საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2-ს შორის.**

სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2-ით (262 კვ.მ.) და სარეკრეაციო ზონა 2–ით (107 კვ. მ). ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №25), მოქ. გ. შავერდაშვილი. AR1309904.

**10. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, I რეხის ქუჩის მიმდებარედ (9072, 218 და 40845კვ. მ) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელი ზონა 2–ს, სარეკრეაციო ზონა 2-სა და სატრანსპორტო ზონა 1-ს შორის.**

სარეკრეაციო ზონა 2(9072 კვ.მ.) და საცხოვრებელი ზონა 2 (218 კვ.მ.) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით, სარეკრეაციო ზონა 2 (40845 კვ. მ) იცვლება საცხოვრებელი ზონა 2–ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №25), ქონების მართვის სააგენტო. #07/7589–13.

**11. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, თეთრ სახლებთან არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.019.379),(876 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელი ზონა 1-სა და სპეციალური ზონა 1-ს შორის.**

საცხოვრებელი ზონა 1 იცვლება სპეციალური ზონა 1-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №26), მოქ. დ. ჩუბინიძე. AR1317847.

**12. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ქ. #131–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.14.02.024.037),(238კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელი ზონა 3-ს შორის.**

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 3-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №26), მოქ. ლ. ბოკუჩავა. AR1315936.

**13. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანში მიმავალი გზის მოპირდაპირე მხარეს (ნაკვეთი #3/3)–ის მიმდებარედ, ავჭალა 1 სამხედრო დასახლებაში , ავჭალა 1–ის მიმდ. ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: ##01.11.17.003.188, 01.11.17.003.047, 01.11.17.003.066), (1357, 122 და 286კვ. მ)**

**დაზუსტდეს კონტური ზოგად საცხოვრებელ ზონას, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1–სა და სატრანსპორტო ზონა 1-ს შორის.**

ზოგადი საცხოვრებელ ზონა იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1–ით (1357 კვ.მ.), სატრანსპორტო ზონა 1–ით (122 კვ.მ.), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (286 კვ.მ.) ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №26), მოქ. მ.მინდაძე. AR1316933.

**14. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირის #61–ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: #01.16.05.003.069), (552კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1–სა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ს შორის.**

სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2–ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №26), მოქ. პ. ჭავჭანიძე. AR1312616.

**15. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში, ფონიჭალის საკრებულო/ ფონიჭალის თემის საკრებულო, სოფელ ფონიჭალაში (ნაკვეთი #30/7) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.18.13.030.017), (6000კვ. მ) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელი ზონა 1–სა და სამრეწველო ზონა 1-ს შორის.**

საცხოვრებელი ზონა 1 იცვლება სამრეწველო ზონა 1–ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №26), მოქ. მ. ვასაძე. AR1312263.

**16. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, სევანის ქ. N10 და N10-ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: #01.17.01.073.035-ის მიმდებარედ), (5კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1–სა და საცხოვრებელი ზონა 5-ს შორის.**

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 5–ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №26), მოქ. ნ. გონგლაძე-აზარიაშვილი. AR1310845.

**17. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, დაბა კოჯორში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #81.01.08.378), (724კვ. მ) დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონასა და საცხოვრებელი ზონა 1-ს შორის.**

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 1–ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს” 2015 წლის ოქმი №26), მოქ. თ. ყანჩაველი. **AR1318916.**

**18. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩერქეზიშვილის ქ. #49–ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: #01.16.06.018.009), და მიმდებარე ტერიტორიის, (4141 და 39კვ. მ) დაზუსტდეს კონტური საკულტო ზონას, საცხოვრებელი ზონა 3–სა და საცხოვრებელი ზონა 5-ს შორის.**

საკულტო ზონაიცვლება საცხოვრებელი ზონა 3–ით (4141 კვ.მ.) და საცხოვრებელი ზონა 5–ით (39 კვ.მ.) (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს” 2015 წლის ოქმი №26), მოქ. მ. ქოჩიაშვილი. **AR1319148.**

**19. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #81.02.02.803), (1067კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სასოფლო-სამეურნეო ზონასა და სპეციალური ზონა 2-ს შორის.**

სასოფლო-სამეურნეო ზონა იცვლება სპეციალური ზონა 2–ით. (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს” 2015 წლის ოქმი №26), მოქ. მ. ძაგანია. **AR1319432.**

**20. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, სამგორის რაიონში, ნაკვეთი 04/026 არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.19.13.004.026), (13086კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 2-სა და სპეციალური ზონა 2-ს შორის.**

სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება სპეციალური ზონა 2–ით. (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს” 2015 წლის ოქმი №26), მოქ. მ. ძაგანია. **AR1319449.**

**21. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, სოფელ დიდ ლილოში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #81.08.03.673), (1335 და 1360კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1–ს, სარეკრეაციო ზონა 3-სა და სპეციალური ზონა 2-ს შორის.**

სატრანსპორტო ზონა 1 (1360 კვ.მ.) და სარეკრეაციო ზონა 3 (1335 კვ.მ.) იცვლება სპეციალური ზონა 2–ით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №26), მოქ. მ. ძაგანია. AR1319417.

**22. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #72.16.15.321), (981 და 251კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1–ს, სარეკრეაციო ზონა 3-სა და სპეციალური ზონა 2-ს შორის.**

სარეკრეაციო ზონა 1 (981 კვ.მ.) და სარეკრეაციო ზონა 3 (251 კვ.მ.) იცვლება სპეციალური ზონა 2–ით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №26), მოქ. მ. ძაგანია. AR1319423.

**23. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #81.02.03.866),(4433 და 82კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1–ს, საცხოვრებელ ზონა 1-სა და სპეციალური ზონა 2-ს შორის.**

სარეკრეაციო ზონა 3 (4433 კვ.მ.) და საცხოვრებელი ზონა 1 (82 კვ.მ.) იცვლება სპეციალური ზონა 2–ით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №26), მოქ. მ. ძაგანია. AR1319448.

**24. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში (ნაკვეთი #14/464) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.19.36.014.464), (5300კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 3-სა და სპეციალური ზონა 2-ს შორის.**

სარეკრეაციო ზონა 3 იცვლება სპეციალური ზონა 2–ით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №26), მოქ. მ. ძაგანია. AR1319451.

**25. ქ.თბილისის უბნებში ფუნქციური ზონის ცვლილებისა და ტექნიკური ხარვეზების გასწორების შესახებ.**

ტერიტორიაზე განისაზღვროს სარეკრეაციო ზონა 1 (4000კვ.მ.), სარეკრეაციო ზონა 2 (1487კვ.მ.), საცხოვრებელი ზონა 6 (1051 კვ.მ.), საცხოვრებელი ზონა 2 (331 კვ.მ.),

ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონა (2351 კვ.მ.)("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №27) არქიტექტურის სამსახური, თ. უგულავა.AR1321557

**26. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. #29/ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. #31–ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.14.05.006.098), (48 და 3კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სამრეწველო ზონა 1-ს, სატრანსპორტო ზონა 1–სა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ს შორის.**

სამრეწველო ზონა 1 (48 კვ.მ.) და სატრანსპორტო ზონა 1 (3 კვ.მ.) იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №27), მოქ. ვ. ხოდელი. AR1319649.

**27. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.14.16.015.291),(1386კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 2–სა და სპეციალური ზონა 1-ს შორის.**

სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება სპეციალური ზონა 1-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №27), მოქ. ვ. აბრამიშვილი. AR1313526.

**28. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღომში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, დიღმის სასწავლო–საცდელი მეურნეობა, აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.014.694),(728 და 2508კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1–სა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ს შორის.**

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (728 კვ.მ.) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით, სატრანსპორტო ზონა 1 (2508 კვ.მ.) იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2–ით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №27), მოქ. დ. ინასარიძე. AR1313027.

**29. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში „ჩალიპირებში" არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: ##01.72.14.032.718, 01.72.14.032.717), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განთავსების მიზნით,(973 და 968კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1–სა და საცხოვრებელი ზონა 3-ს შორის.**

სატრანსპორტო ზონა 1 (973 კვ.მ.) იცვლება საცხოვრებელი ზონა 3-ით, საცხოვრებელი ზონა 3 (968 კვ.მ.) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1–ით. („ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №27), მოქ. არ. დარახველიძე. AR1312989.

**30. ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, რკინიგზის ცენტრალურ ვაგზალზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.16.01.005.161),(830კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1–სა და სპეციალური ზონა1-ს შორის.**

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება სპეციალური ზონა 1–ით. („ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №27), კლინიკური მედიცინის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი. AR1322695. (07/7767–13).

**31. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, 300 არაგველის ქ. #2ა–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.17.01.137.011),(23 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1–სა და საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2-ს შორის.**

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2-ით („ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №21), ვ. ჯანაშვილი. AR1310919.